

# ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ა

სამეცნიერო ჟურნალი

ბამოდის სამ თვეში ერთხელ

2019

ივლის-სექტემბერი

ენათმეცნიერება

ლიტერატურათმცოდნეობა

ისტორია

წყაროთმცოდნეობა

ხელოვნებათმცოდნეობა

„ქართლის ჭირი“

ფილოსოფია

თეოლოგია



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2019

## სარჩევი

### ეკა წიგწივაბე

მეცნიერულ – საგანმანათლებლო საზოგადოება  
„პრომეთეოსი“ .....5

### გია კვაშილაგა

„კავკასიური მოდგმა“ ბლუმენბახისა და სხვა სწავლულთა  
მიხედვით (მოკლე მიმოხილვა)..... 10

### ნუგზარ წულუკიძე

ინდური რელიგიური სიმბოლო *ლოტოსი* ქართულ  
წარმართობაში .....32

### ქეთევან ჯერვალიძე, ნინო პეტრიაშვილი

მათეს სახარებისეული იგავი – „ათი ქალწული“ –  
და მისი სახეობრივი გააზრების გზა .....44

### ლალი ოსეფაშვილი

მეფე დავით ფსალმუნთმგალობელის  
გამოსახულებანი ჯრუჭის ფსალმუნში .....77

### ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი, ლექსო ოთარაშვილი

ევროპელი მისიონერები  
გიორგი სააკაძის რელიგიური მრწამსის შესახებ.....86

### ნანა მირაშვილი

ცხოვრება წმინდა ქსენი (ეუსებია) რომაელისა და  
მისი ორი მხეველისა ..... 109

### ნანა შენგელაია

გამოსმაურება პაატა იაკაშვილის წიგნზე  
„ატლანტისის საიდუმლო“ .....130

### მეგი გაბისონია

მარგინალი ადამიანის ცხოვრების საზრისის  
ძიება ჯონ მაქსუელ ქუთისის რომანში  
„მაიკლ კ-ს ცხოვრება და დროება“ .....135

## ქეთევან ჯერგალიძე, ნინო პეტრიაშვილი

### მათეს სახარებისეული იბავი – „ათი ქალწული“ – და მისი სახეობრივი ბაზრების ბზა

ეძღვნება უდიდესი ქართველი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის ხსოვნას: მისი გარდაცვალებიდან 60 წლისთავს და ასევე, მისი კრებულის „არტისტული ყვავილების“ გამოსვლიდან 100 წლისთავს.

#### საკითხის ისტორია:

იგავს ათი ქალწულის შესახებ მხოლოდ მათეს სახარება მოგვითხრობს. იესოს იგავი განკუთვნილია მისი მოწაფეებისადმი, თუმცა შემდეგ მოხდა მისი მიმართვის არეალის გაზრდა ყოველ ქრისტიანამდე. არადა, რიგითი ადამიანების მიერ ზეციური სასუფეველის ვერ გაგებისა და მასზე უარისთქმის მაგალითებიც გვაქვს ამავე მახარებელთან (XXII, 2-7)...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ათი ქალწული“ 1915 წელს სწორედ მათეს სახარების იგავის მიხედვით არის შექმნილი: „1. მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათად ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ღამპარნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა. 2. ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი (φρόνιμοι) და ხუთნი – სულელნი (μαραϊ) 3. მიიხუნეს სულელთა მათ ღამპარნი მათნი და არა მიიდეს მათ თანა ზეთი. 4. ხოლო ბრძენთა მათ მიიდეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ღამპართა მათთა თანა. 5. და დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს. 6. ხოლო შუვა-ღამეს ოდენ დაღადებად იყო, ვითარმედ: აჰა ესერა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა. 7. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ღამპარნი მათნი. 8. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ღამპარნი ჩუენნი დაშრტებიან. 9. მიუგეს ბრძენთა მათ და პრქუეს: ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფროდსა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა. 10. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და გან-

მზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას, და დაეკმა კარი. 11. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგვლე ჩუენ! 12. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ: არა გიცნი თქუენ. 13. იღუპებლით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისად მოვიდეს (მათ. 25, 1-13).“

იესოს ეს იგავი, ისევე როგორც სხვანი, აღებულია სწორედ ებრაელთა ყოფითი ცხოვრებიდან. ზოგადად, იგავი, – ეს მცირე მოცულობის ეპიკური ჟანრის დამოძღვრა-შეგონებითი, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით გასაგები ამბავი,- ძალიან უყვარდა, როგორც ებრაელ ხალხს, ასევე მთელი ხმელთაშუა ზღვის ხალხებს, მათ შორის ჩვენს წინაპრებსაც... სახარება-ოთხთავში სულ 30 იგავს ითვლიან და მათ მიზნისა და ამ მიზნის (უფლის სასუფეველი) განხორციელების მიზეზებისა და პირობებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, სამ ჯგუფად ყოფენ. მესამე ჯგუფი მოიცავს 18 იგავს და სწორედ მათში შედის „ათი ქალწულის იგავიც“<sup>1</sup>.

„ათი ქალწულის იგავის“ შესახებ შესანიშნავ ცნობებს გვაწვდის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდი შეედი ლექსიკოგრაფ-ენციკლოპედისტი ერიკ ნუსტრემი. ის, თავისი „ბიბლიის ენციკლოპედური ლექსიკონის“ სტატიაში სათაურით „ქორწინება“, იგონებს მოგზაურ ვორდას ჩანაწერს: „ინდუსთა საქორწინო ცერემონიისას, რომელზე დასწრება და დაკვირვებაც მომიხდა, საქმრო მოვიდა შორიდან, პატარძალი კი ცხოვრობდა სარამპორეში. აქ სასიძო ზღვით უნდა მოსულიყო. ორი თუ სამი საათის ლოდინის შემდეგ, შუაღამისას, ბოლოს და ბოლოს გავიგონეთ სწორედ ის შეძახილები, რომელიც წმინდა წერილშია: „**ამა, ესერა სიძე შემოვალს, აღდგით და მივეგებოდით მას – იძი ვხედავ ὁ συμφιός სასიძოს ἔρχεται მოდის, ἔξἔρχεσθε მივეგებნეთ εἰς ἀπάντησιν ყოველნი αὐτοῦ** (მათ. 25, 6). მათ, ვისაც ეს მოწოდება ეხებოდა, აანთეს ფარნები და წავიდნენ დამძახებლებთან (მახარობლებთან) ერთად ხელგაყრილნი პროცესიაში მონაწილეობის მისაღებად, ზოგმა კი დაკარგა საკუთარი სანთებულები და მზად არ იყვნენ. ვინაიდან ფარნების მოძიება უკვე

<sup>1</sup> Притча // Библейский словарь, составил Эрик Нюстрем, пер . И. С. Свенсона, СПб., 1998, 353; Притчи евангельскія // ППБЭС т. II, М 1992, 1909; В. И. Тюпа, Грани и границы притчи // Традиция и литературный процесс. Новосибирск, 1999, 381—387.

ძალიან ძნელი იყო, ისინი გაიქცნენ დიდ ეზოში, რომელიც გადახურული იყო ტილოთი. იქ მათი ბევრი მეგობარი, საუკეთესო სამოსში გამოწყობილი, უკვე ხალიჩებზე იყო მსხდომარე. სასიძო პირველად მოიყვანეს და დასვეს ამ საზოგადოების შუაში, ამადლებულ ადგილას დადგმულ სკამზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ადგა სასიძო და შევიდა საქორწინო სახლში, რომლის კარიც მყისვე დაკეტეს. ამ კარს იცავდნენ ჯარისკაცები და სხვათა მცდელობა, შემვებაზე დაეთანხმებინათ ისინი, იყო ამაო. ვორდა თავის შთაბეჭდილებას ასე ასრულებს: „იესოს შესანიშნავი იგავი არასოდეს მეუბნებოდა იმდენს, რამდენიც ამ წუთას მითხრათ სიტყვებმა: „და დაჯშა კარი – και და ἐκλείσθη დახშა ἡ θύρα“ კარი (მ. 25, 10)<sup>2</sup>; აქვე უნდა დავამატოთ, რომ საქორწინო ნადიმზე საუბარია მათეს სახარების სხვა თავშიც (22, 1-14), ასევე არაკანონიკურ სახარებებშიც<sup>3</sup>.

თუ დავაკვირდებით, იგავი რამდენიმე ეპიზოდისგან შედგება: 1. ათი ქალწულის მოლოდინი, ანუ სიფსიზღე-მღვიძარების ხარისხები; 2. სიძის მოსვლა; 3. მორალი. ამავე დროს ყველაფერს აქვს სიმბოლურ-ემბლემური დატვირთვა: ქალი აღნიშნავს ეკლესიას, ქალწულთა რაოდენობა ათი სამყაროს სისავსისა და მთლიანობის აღმნიშვნელია, რომელიც ირღვევა უგუნურთა მიერ; ღამპარი – საღვთო ნათელსა და მადლს განასახიერებს. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ გალობს დასასჯელად მიმავალი ჰაბო 118-ე ფსალმუნს: „სანთელ არს ფერტა ჩემთა შჯული შენი და ნათელ-აღაგთა ჩემთა. ღამპარია ჩემი ფეხისთვის სიტყვა შენი და სინათლე – ჩემი ბილიკისათვის, (ფს. 118, 105) [ძეგლები, I 70, 5]\*; რიცხვი ხუთი – სოფელი; ზეთი – სრულყოფილი რწმენა, ღამპარში იგულისხმება თვით მორწმუნის სხეულიც; როგორც ჰაბო ანთებული სანთელი, ასევე გრიგოლ ხანძთელია „დაუვსებელი სანთელი“: „რადთა უქმთა მათ უღაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი, ბრწყინვალჭ ზედა სასანთელსა მას მადალსა ზეთითა მით განუპარველითა, რადთა ჳმასა მას და ოხრასა საყვრისასა ადეტყინოს და განბრწყინდეს სუღითა ძლიერითა, და მიუძღუეს საქორწინესა მას კრებულსა

<sup>2</sup> Брак, Библейский словарь, 50.

<sup>3</sup> Евангелие от Фоми 68 // Апокрифы древних христиан, исследование, тексты, комментарии, М., 1989, 251.

\* კვადრატულ ფრჩხილში ყველგან იგულისხმება „ძველი ქართული ლიტურატიურის ძეგლები“, I, თბილისი 1964.

თანა მოწაფეთა მისთა წმიდათასა“ [I 253, 7-11]; ძილი – სულიერი სიკვდილი; სიძის მოსვლა – მაცხოვრის მეორედ მოსვლა.

### **როდის იწყება თვით ქრისტიანულ მწერლობაში „ათი ქალწულის იგავით“ დაინტერესება?**

ათი ქალწულის თემა, ჩვენ რამდენადაც ვიცით, პირველად ჩნდება მეთოდოს პატარელის *Μεθόδιος Πατάρων* (260-312) თხზულებაში „ნადიმი ანუ უმანკოების შესახებ – *Συμῆσιον ἢ περὶ ἁγνείας*“. თუმცა ის არ მისდევს ზედმიწევნით მათეს სახარების იგავს (25, 1-13) და კლასიკური ბერძნული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ფორმა აქვს, დიალოგისა – პლატონის<sup>4</sup>, ქსენოფონის, პლუტარქეს, ლუკიანოსის... „ნადიმთა“ მსგავსი<sup>5</sup>; უცილობლად რაც მათეს სახარებაზე მიგვანიშნებს, ეს **ქალწულთა რიცხვი და მათი მიზანია – უბიწოების დაცვა საქმროსთვის და მისი მოლოდინი**: მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თვისნი და განვიდეს მიგებებად სიძისა. *Τότε ὁμοιωθήσεται ἡ βασιλεία τῶν οὐρανῶν ὅσθα παρθένοις, αἵτινες λαβούσαι τὰς λαμπάδας ἔαυτῶν ἐξῆλθον εἰς ὑπάντησι τοῦ νυμφίου* (25, 1). ხოლო, რაც ბიზანტიურ მწერლობაზე მიანიშნებს უცილოდ, ეს რეფერენია: „შენთვის, ჰოი საქმროვ, ვინახავ ჩემს ქალწულობას და მანათობელი ჩირაღდნებით ხელში გეგებები შენ – *ἀγνεύω σοι καὶ λαμπάδας φαισφοδούς* კრატოსა νύμφει ὑπαντάω σοι“<sup>6</sup>. მაგრამ აქაც გვაქვს „მაგრამ“, ვინაიდან ძველბერძნული ქორწილების განუყოფელი ატრიბუტიც იყო ჩირაღდნები<sup>7</sup>. შემდგომ მეთოდოსის ეს დიალოგი გამხდარა

<sup>4</sup> ს. *ვაუხნიშვილი*, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1973, 45;

<sup>5</sup> ნადიმების კრებული „სიმპოსიონი“, თბილისი, 2012.

<sup>6</sup> ს. *ვაუხნიშვილი*, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტომი მესამე, 45; რეფერენი, იქვე, 153-154; იხ. აგრეთვე, *Поль Зюмтор*. Оппозиции и взаимодействие регистров // Опыт построения средневековой поэтики, СПб., 2002, 251-254; <http://padaread.com/?book=48747&pg=8>.

<sup>7</sup> Свадьба, Словарь античности, перевод с немецкого, М., 1989; *ბ. გონია*, საფოს ლირიკა, თბილისი, 1977, 18-21; *Ганс Лухт*, Греческая женщина, Свадебные обычаи, Сексуальная жизнь в Древней Греции . Пер. с англ. В. В. Федорина. М., 1995, 17-30. ასევე იყო საქართველოშიც. გარდა იმისა, რომ მსგავსი სცენა აღექსანდრე ყაზბეგმა აღწერა მოთხრობაში „ხევისბერი გონა“, მე თვითონაც მოვსწერებევიარ სიყმაწვილეში ასეთ ქორწილებს ჩირაღდნებით. სხვა ეთნოგრაფიული მასალაც ბევრია...

საფუძველი ჯოვანი ბოკაჩიოს (1313-1375) პაროდული ქმნილებისა „დეკამერონი“<sup>8</sup>.

მეთოდოს პატარელის მიერ ათი ქალწულის იგავით დაინტერესება არ უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან, ამბროსი მედიოლანელსა და ეპიფანე კვიპრელთან ერთად, პატარელი ის სასულიერო პირია, რომელიც პირველი მოგვითხრობს ბზობის დღის, ანუ მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის აღნიშვნის შესახებ<sup>9</sup>.

დიდმარხვის საკითხავებში „ათი ქალწულის იგავი“ როდიდან მოხვდა, ამის თქმა ძნელია, თვით სიტყვა დიდი მარხვა **Μεγάλη Τεσσαρακοστή-დიდი ოთხათეული დღე** – პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების V დადგენილებაში ჩნდება პირველად. დიდი სჯულისკანონის ქართულ რედაქციაში არ გვაქვს მინიშნება ოთხათეულდიან მარხვაზე. წერია: „კრებანი იქნებოდეს ერთი უკუე უწინარეს მარხვათაჲსა... მეორე-ჟამსა სთულისასა“<sup>10</sup> და ამით ვხვდებით, რომ „უწინარეს მარხვათაჲსა“ – დიდ მარხვაზეა საუბარი. გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ 34-ე თავში კი ნახსენებია **დიდი მარხვა**: „პირმარხვად მიიღიან კანონი დიდთა მარხვათათჳს და წარვიდიან“ [I 282, 17-18]. ამას გარდა, „მარხვა“ მრავლობით რიცხეშია.

ძველი ქართული მწერლობაც იცნობს მეთოდოს პატარელის შრომებს. უთარგმნიათ მისი „სუმეონისათჳს და ანნაჲსა“ და „მეორედ მოსლვისათჳს და აღსასრულისათჳს“, აგრეთვე აპოკრიფული ესქატოლოგიური თხზულება „მოთხრობა უცთომელი სუფევისათჳს და უკანასკნელთა ჟამთათჳს“<sup>11</sup>.

მეთოდოს პატარელის ცხოვრება და მოღვაწეობა ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებამდე (325წ), მეტიც, მილანის ედიქ

<sup>8</sup> *Н. И. Барсов*, „Пир десяти дев" и "Декамерон" Боккачио // "Вестник Европы" 1893.

<sup>9</sup> Вербное воскресение. История праздника: [https://ruvera.ru/verbnое\\_voskresenie](https://ruvera.ru/verbnое_voskresenie); <https://www.azbyka.ru/otechnik/books/original/15618-История-первобытнoй-христианскoй-проповеди-до-IV-в.pdf>; იხ. აგრეთვე: *Н. И. Барсов*, Св. Методій Тирскій, 318//Исторія первобытнoй христианскoй проповеди, СПб., 1885. 314-339; <https://www.azbyka.ru/otechnik/books/original/15618-История-первобытнoй-христианскoй-проповеди-до-IV-в.pdf>

<sup>10</sup> დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს *ენ. გაბობაშვილმა*, *ე. გიუნაშვილმა*, *მ. დოღაქიძემ*, *გ. ნინუამ*, თბილისი, 1975, 232.

<sup>11</sup> *კ. კეკელიძე* „ეტიუდები“ ტ. V, თბილისი, 1957, 96; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1980, 434, 353, 556.

ტამდე დასრულდა (213წ.)<sup>12</sup>. ქრისტიანობას ამ დროს უკვე 300 წლის ისტორია ჰქონდა, ეკლესიაც არსებობდა და საეპისკოპოსოებიც. ღვთისმსახურება ლიტურგიკის ჩამოყალიბებას ითხოვდა. ზუსტად როდის შეიტანეს ღვთისმსახურების პრაქტიკაში ვნების კვირის ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს ტროპარი და კონდაკი ამ თემისადმი მიძღვნილი, თქმა არ შეგვიძლია:

**ტროპარი:** აჰა ესე სიძე მოვალს შუადამესა და ნეტარ არს მონად იგი, რომელი იპოვოს მღვიძარე, ხოლო ვაი არს მონისა მის, რომელი იპოვოს უღებებით; იხილე, სულო ჩემო და ნუ გრულის ძილისათვის, რადთა არა გამოვარდე სასუფევლისაგან, არამედ აღისთუე შუადამესა და ხმობდი: წმინდა ხარ, წმინდა ხარ, წმინდა ხარ შენ,ღმერთო ჩუენო, ღვთისმშობელისა მიერ შეგვიწყალენ ჩუენ.

**კონდაკი:** უამსა მას გასვლისასა იხსენებდი შენ, ჰოი სულო ჩემო, შეძრწუნდი მოკვეთისა მისგან ლევისა და მოცემული შენდა ტალანტი განამრავლე შრომითა და სიყვარულითა, საწყალობელო, აღვიძებდ და ღმობიერად უღაღადებდ: ქრისტე მრავალმოწყალეო, ნუ განმაგდებ მე სასძლოსაგან შენისა.

ეს ტროპარი განსხვავებული კონდაკებით იკითხება ვნების კვირის ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს, კონდაკი კი – მხოლოდ ვნების კვირის სამშაბათს. ტროპარი იკითხება დიდ შაბათსაც ღვთისმსახურების ბოლოს.

**ათი ქალწულის იგავი იკითხება ყველიერის კვირაშიც.**

**გადვიძების შემდეგ წარმოსათქმელ ღოცვებშიც შედის, სხვად**

**ღოცვად:**

„... შეიწირე, უფალო, ჳამად ვედრებისა ჩემისად, ვითარცა წმიდათა და საცნაურთა უკრცოთა ძალთა შენთად, სათნო-იყავ გუღითა წმიდითა და სუღითა მდაბღითა შეწირვად უღირსთა ამათ ბაგეთა ჩემთაგან ქებად, რადთა მეცა ზიარ ვიქმნე ბრძენთა მათ ქალწულთა თანა ბრწყინვაღითა ღამპრითა სუღისა ჩემისადთა, რადთა გადიღებდე შენ, თანა მამით და სუღით წმიდითურთ, ღმრთისა სიტყუაო, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“<sup>13</sup>.

ერთი რამის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, **მეთოდის პატარელის** კვალს, ამ იგავით დაინტერესების საქმეში, გაჰყვნენ

<sup>12</sup> მილანის ედიქტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბილისი, 1983, 695.

<sup>13</sup> <http://www.gulani.ge/nightly>



ისეთი დიდი ქრისტიანი მამები, მოძღვრები, მწერლები და ეგზეგეტიკოსები, როგორებიც იყვნენ: წმიდა ილირიუს პიქტაველი (315-367), მაკარი დიდი მეგვიპტელი (300-391), ღირსი ისიდორე პელუსიოტელი (350/60-435/40), იერონიმე სტრიდონელი (342 – 420), ნეტარი ავგუსტინე (354-420), მაქსიმე აღმსარებელი (580- 662), რომანოზ მელოდოსი (V-VI სს.), თეოდორე სტუდიელი (765-826), თეოფილაქტე ბულგარელი (X ს-ის მეორე ნახევარი, XI ს-ის დასაწყისი), ექვთიმე ზიგაბენი (+1118)<sup>14</sup>. ამათგან პოეტური ქმნილება, მთლიანად მიძღვნილი „ათი ქალწულისადმი“ გახლავთ მელოდოსის კონტაკიონი „ათი ქალწული – **κολλάκιον εις τας δέκα παρθένους**“<sup>15</sup>; ანდრია კრიტელის საგალობელში ამ თემას მხოლოდ დეტალის ფუნქცია აკისრია.

კოპტოლოგი ელანსკაია შენუტეს (+465) ქადაგებაში „მომთაბარეთა თავდასხმების შესახებ“ მიანიშნებს „ათი ქალწულის იგავის“ გამოყენებაზე<sup>16</sup>; კოპტებსაც ჰქონიათ „სიმღერა ათი ქალწულის შესახებ“. იმდენად საინტერესოდ გვეჩვენა ამ კოპტური ლექსის რუსული თარგმანი, რომ გთავაზობთ მას:

### **Коптская песенка о десяти девах**

Было десять девиц, жениха поджидавших —

Было пять мудрых, было пять глупых.

**Десяток был.**

Глупых пятерка пошла к пятерке мудрых.

**Десяток был.**

Дайте нам малость масла – наши лампы угасли –  
пока Господин не пришел. Десяток был.

Молвят те: Не, не, не, нам самим не хватает.

**Десяток был.**

На площадь идите, купите масло для ваших лампад.

Как только ушли и пришли – явился Жених.

<sup>14</sup> [http://bible.optina.ru/new:mf:25:01#troickie\\_listki](http://bible.optina.ru/new:mf:25:01#troickie_listki)Толкования на Мф. 25:1

<sup>15</sup> Ἁγίου Ρωμανοῦ τοῦ μελωδοῦ – κολλάκιον εις τας δέκα παρθένους: <https://www.ort.gr/?p=4861>; *ს. გაუხეხი შვილი*, 140; Песни св. Романа Сладкопевца на Страстную седмицу в русском переводе / Пер. с древнегреч. П. Цветкова. М., 1900, 5, 24.

<sup>16</sup> *Шенуте*, О нашествии кочевников, примеч. 222 // Изречения египетских отцов (коптов). Введение, перевод с коптского и комментарии А. И. Еланской, СПб., 1993.



ძნელია. მით უფრო, როდესაც სპეციალისტი არ ხარ. სამწუხაროდ, თარგმანის ელ. ვერსიაში ორიგინალის ეპოქა მითითებული არ გახლავთ, როგორც ჩანს, ათვლა VIII ს-დან უნდა დავიწყოთ. ლექსს რეფრენად გასდევს: „ათნი იყვნენ“ და მთლიანად მისდევს იგავს ბოლო სტრიქონამდე.

ცხადია, სიფხიზლის, განღვიძების, კარდახშული სასძლოს მოტივები გვხვდება ანდრია კრეტელის (660-726/740) „სინანულის კანონშიც“: „ხუბუბულ ვარ მე სასძლოსაგან და დაკლებულ ქორწილისაგან და სერობისა, ლამპარი დაშრტა ვითარცა უხეთო და სასძლო დამეხშა მირულებულსა, და სერობა აღრება, ხოლო მე, ხელით და ფეხით შეკრული გარე განმაგდეს“<sup>20</sup>, მაგრამ მხოლოდ დეტალის ფუნქციით., როგორც სხვა დანარჩენი.

**ქრისტიანობის** ადრეულ ეტაპზე ასეთი დიდი ღვთისმეტყველი მამების დაინტერესება ამ იგავით განპირობებული უნდა ყოფილიყო იმ ქრისტიანული სექტებითაც, რომელნიც მეორედ მოსვლას მეოთხე საუკუნეში და შემდეგაც დღე-დღეზე მოელოდნენ; მაქსიმე აღმსარებელი (580-662), თეოდორე სტუდიელი (765-826) – ეს ორი ავტორიც ერესებთან ბრძოლით იყო გამორჩეული. მაქსიმე აღმსარებელი ებრძოდა მონოთელიტებს, ხოლო თეოდორე სტუდიელი – ხატმბრძოლებს; თეოფილაქტე ბულგარელისა და ექვთიმე ზიგაბენის დროს კი არცთუ დიდი ხნის გადავლილი იყო 999 წელს მეორედ მოსვლის მოლოდინის ციებ-ცხელება. ბიზანტიის იმპერიისათვის თურქული ექსპანსია აღმოსავლეთიდან და ჯვაროსნული ომების ქარ-ცეცხლი დასავლეთიდანაც არ იყო მეორედ მოსვლის წინა პირობაზე ნაკლები. **სიფხიზლის მოტივის** სიძლიერეზე მეტყველებს მღვიძარეთა მონასტრების დაარსება სირიასა და კონსტანტინეპოლში (IV ს. ).

### ათი ქალწულის იგავი ქართულ კლასიკაში

ქართულ ჰაგიოგრაფიაში ათი ქალწულის იგავი პირველად გვხვდება გიორგი მერხულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ . დედა ფებრონიას წერილის შემდეგ გრიგოლი შესვენებულ დებს სწერს წერილს, რომლებიც აკლდამიდან აგდებენ ადარნასე აშოტის ძის მაცდუნებელი ქალის ნეშტს. სწორედ ამ პირად ეპისტოლეშია:

<sup>20</sup> *წმ ანდრია კრეტელი*, სინანულის კანონი, დიდმარხვაში საკითხავი, ოთხშაბათის საკითხავი, გალობა დ. თბილისი, 2015, 31.

„დიდებულსა მას მოსლვასა, ძისა მისისა მომლოდინენო! [I 300,37; 301, 1-2] – ჩვენი აზრით, ეს პასაჟი წარმოადგენს „ათი ქალწულის იგავის“ აღუზიას მათეს სახარებიდან (25, 1-13), რომელმაც გურამიშვილისა და ბარათაშვილის შემოქმედებაზე გაველით გალაკტიონთანაც შეისხა ხორცი. „ათი ქალწულის იგავის“ აღუზიად მიგვაჩნია ზემორე ნაწყვეტიც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“: „რადთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუესებელი, ბრწყინვალე ზედა სასანთლესა მას მაღალსა ზეთითა მით განუპარველითა, რადთა ჳმასა მას და ოხრასა საჯვრისასა აღეტყინოს და განბრწყინდეს სულითა ძლიერითა, და მიუძღუეს საქორწინესა მას კრებულსა თანა მოწაფეთა მისთა წმიდათასა“ [I 253, 7-11]. თვით გიორგი მერჩულეს კი, სახარებისეული პასაჟის გამოყენების თვალსაზრისით, წინამორბედნიც ჰყოლია ქართველი ჰიმნოგრაფების სახით და თანამედროვენიც. წინამორბედთაგან მხედველობაში გვაქვს უცნობი ავტორის სამსაგალობელი ვნების სამშაბათისა „ძუელი“ იადგარიდან, რომელსაც პ. ინგოროყვა V-VII ს-ით ათარიღებდა და „წყობილი სიტყვის“ ნიმუშად თვლიდა, ანუ დამასკეღამდელი პერიოდისად მიაჩნდა. ინგოროყვას აზრითვე, გრიგოლ ხანძთელი თავისი ვნების სამშაბათის სამსაგალობლის შექმნისას სწორედ ამ უცნობ ავტორს დაყრდნობია<sup>21</sup>. იმდენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ საგალობლის პირველი ნაწილი „მოიხილესა“, რომ მოგვეყავს ის:

მიეციოთ, ერნო, დიდებაჲ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა!  
 რაჟამს გესმას ჳმად იგი სანატრელი,  
 განვებრწყინენეთ სულთა ჩუენტა ღამპარნი,  
 რადთა ღირს ვიქმნეთ ბრძენთა მათ თანა ქალწულთა  
 შესვლად ქორწილსა მას სამეუფოსა.

დაგვიცვე ჩუენ, ქრისტე, საფარველისა ჯუარისა ჩუენსადოა!  
 რადჟამს დასჯდე საყდართა შენთა საშინელთა განრჩად,-  
 გვედრები, ნუ წარმწყმედ მარცხენითა მათ თანა  
 არამედ ღირს მყავ მარჯუენით  
 სამწყსოთა შენთა თანა.

<sup>21</sup> პ. ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, თხზულებათა კრებული, დამატება V, ტ. III, თბილისი, 1965, 561-566; ნ. სულავა, ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა, თბილისი, 2006, 51.

მართალ და წმინდა არს უფალი ჩუენი  
რომელი მოვიდა ვნებად ნეფსით ჳორციოთა,  
და მოსლვად არს განრჩად ცხოველთა და მკუდართა!  
ამას ვევედრნეთ ცრემლითა სინანულისაჲთა,  
რადთა მიჳსნნეს ჩუენ ცეცხლისა მისგან საშინელისა.

მსგავსად ბრძენთა მათ ქალწულთა  
აღვინთნეთ სანთელნი ჩუენნი,  
აღვიღოთ ზეთი ჳურჳელთაგან  
და მივეგებოდეთ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა,  
რადთა შევიდეთ მის თანა ქორწილსა მას სიხარულთ.

\*\*\*\*\*

[შესწავებაჲ]

სანთელი იგი – რომელ არს სიწმინდჳ;  
ზეთი იგი – წყალობაჲ;  
და სიხარული სიძჳ იგი – თავადი ქრისტჳ;  
და ქორწილი იგი – რომელ არს სასუფეველი<sup>22</sup>.

გრიგოლ ხანძთელი

II

...შემრაცხე მე, მაცხოვარ,  
მარჯუენით მათ კრავთა თანა,  
განსჯასა საშინელსა  
ნუ შემრაცხ თიკანთა თანა  
დამამტკიცე, სახიერ  
ბრძენთა მათ ქალწულთა თანა<sup>23</sup>.

შემდგომმა კვლევებმა დაადგინეს, რომ ეს საგალობელი არ ეკუთვნის გრიგოლ ხანძთელს.

უცნობი ავტორის საგალობელმა ჩუენი ყურადღება მათესეული იგავის გამოყენების გარდა, იმითაც მიიპყრო, რომ მისი სტროფული აგებულების სქემა **abba**, რკალური რითმის მსგავსი, როდესაც პირველი სტროფი მცირეოდენი სახეცვლილებით მეორდება ბოლო, მეოთხე სტროფში, გამოყენებული აქვს გალაკტიონს ღექსში „შერიგება“, რომელიც, „ათი ქალწულისაგან“ განსხვავებით, ავტორმა კრებულ

<sup>22</sup> კ. ინგოროევა, ძველი ქართული პოეზია, 564.

<sup>23</sup> კ. ინგოროევა, 565.

„არტისტულ ყვავილებში“ შეიტანა<sup>24</sup>. სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ, გალაკტიონოლოგებსა და ქართული ლექსმცოდნეობის სპეციალისტებს შენიშნული აქვთ თუ არა ეს ფაქტი. თუ ჩვენი მიზნება სწორია, მაშინ ეს შორს მიმავალი დასკვნების საფუძველი შეიძლება გახდეს. „ძუელი იადგარი“ ხომ უკვე გრიგოლ ხანძთელის დროიდან ჩანს ლიტურგიკიდან ამოღებული<sup>25</sup>. გამოდის, რომ ჩვენი წინაპრები, ჰიმნოგრაფები, ფეხს უწყობდნენ ქრისტიანობაში მიმდინარე საერთო პროცესებს. ორიგინალური ჰიმნების შექმნა ხომ მხოლოდ VI ს-დან იწყება. გიორგი მერჩულის თანამედროვე კი იყო იოანე მინჩხი, რომელსაც ერთ საგალობელში აქვს ამ იგავის აღუზია:

ლამპრითა სულიერითა  
სვმეონ მართლისა თანა  
განვიდეთ ჩუენ მიგებებათ მეუფისა<sup>26</sup>.

გალაკტიონს, ჩვენს დიდ პოეტს, როგორც ვხედავთ, ლექსი „ათი ქალწული“ 1915 წელს დაუწერია, გაგანია პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც გარე მტრის გარდა, მეფის რუსეთის იმპერიას ანგრევდა რევოლუციური მოძრაობა, ქრისტიანობის, განსაკუთრებით მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლი. ლექსი დაწერილია გარედან მაცქერალის თვალით, თხრობის ეპიკური სტილით, აღწერითს რომ ვეძახით, თითქოს მხოლოდ სახარებისეული იგავის ლექსად გარდათქმასთან გვკონდეს საქმე, და არა სიმბოლურ-მეტაფორულ გააზრებასთან იგავისა, რაც გალაკტიონის წინამორბედმა, განმანათლებელთა ეპოქის ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმაც მოგვცა ლექსში: „ოდეს დავით გურამისშვილი ბრუსიაში დატყოვდა და, თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი“:

- 1 ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი  
მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე,  
ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი,  
ასეთი საქმე მე მოგიგვარე!

<sup>24</sup> ქ. ჯერვალიძე ნ. პეტრიაშვილი, გალაკტიონის ლექსი „შერიგება“/გრამატიკის პოეტიკა: <https://ketevanjervalidze.wordpress.com/2019/03/16/გალაკტიონ-ტაბიძე-შერიგე/>

<sup>25</sup> ნ. სულავა, ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა, 43, 51.

<sup>26</sup> იოანე მინჩხი, //პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ, თბილისი, 1987, 320.

- 2 გავხდი გლახაკი და დავრდომილი,  
თუმცა საწუთროს მოვიანგარე;  
ვარ ცარიალზე მე დაჯდომილი,  
საუნჯისაგან კარს გარეთ მდგარე.
- 3 ღაგუკარგე იგი ოქროს ბეჭედი,  
რომლით ნიშნულ არს ჩემი შავბედი,  
აწ მექცევვიან ვანი გეზადი  
მე საუკუნო განსვენებადი.
- 4 **სიზმრად ვიხილე, კარს გარეთ ვრეკდი,**  
ქორწილში შესვლად შიგნით ვიწვევდი,  
ქრისტევე, მიბოძე ასეთი ბედი,  
შენსა მას ქორწილს მეცა მიწვევდი!
- 5 მტერმან განმძარცვა მე შესამკელი,  
ტანთ საქორწინე შესამოსელი,  
ვა, თუ მით ვიქნა გარეთ მრეკელი,  
ქორწილსა შინა ვედარ შემსვლელი!
- 6 შენ ხარ, უფალო, აწ ჩემი მშველი,  
ქრისტევე, შემოსე მადლით შიშველი,  
პეტრე და პავლე, სამოთხის მცველი,  
ნუ მექნებიან კართა დამსშველი!
- 7 ნუ გძინავს, სულო, აწ განიღვიძე,  
რომ არ შეიქნა ღამპარ–შრეტილი,  
შუალამისას მოვიდეს სიძე.  
გარეთ არ დარჩე კარ–დაკლეტილი.
- 8 ნუ ხარ სულელი, ზარმაც–უდები,  
არ დაგეკარგოს ქრისტეს ქორწილი,  
ნუმცა იქნები წილდაუდები,  
საინახისა არ ირგო წილი.
- 9 ვამე, ცოდვილსა და უბადრუკსა,  
მე ვინ მაღირსებს ასეთს მაზმანსა,  
რომ დამიგრეხდეს სანთლის პატრუქსა,  
ან ზეთს მისხემდეს ჩემს მქრალს ბაზმანსა!
- 10 ვარ მე მტერთაგან მწარედ გაცრცვილი;  
ტანთ საქორწინე საცმელთ ხეული;  
სულ დამკარგვია ზეთი და ცვილი  
და საკერასე გორგლად ხეული.
- 11 ქრისტევე, განმკურნე ბრმა–ყრუ–საპყარი,  
რომ მე ავინთო ბაზმა–ღამპარი.  
მომეც ღოცვაში თვალთ ცრემლთ წანწკარი,  
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!

მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ წანწკარი,  
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!  
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!

აქვე შეგვიძლია დავამატოთ, რომ გურამიშვილი ცნობილი ინგლისელი პოეტის ქრისტოფერ სმარტის (1722-1771), უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის იოჰან სებასტიან ბახის (1685 -1750) და რუს მხატვარ ვლადიმერ ბოროვიკოვსკის (1757–1825 ) თანამედროვეა. სამივე შემოქმედს ყურადღება მიუქცევია მათესეული „ათი ქალწულის იგავისათვის“. ანუ ეს მოვლენა ეპოქალური სულის სწრაფვითაც უნდა ავხსნათ. და კიდევ, ჩნდება კითხვა, რამდენად შეიძლება ვეძიოთ გურამიშვილის ერთწლიანი მაგდებურგული ტყვეობის გარდა (1758-1759), ამ ქალაქის უდიდესი ტაძრისა და მისი სკულპტურული ქმნილების „ათი ქალწულის“ კვალი პოეტის მიერ ზემოთმოყვანილი ლექსის შექმნაში? (რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს საკითხი გურამიშვილის შემოქმედების მკვლევართაგან არავის დაუყენებია).

**როგორც ხელფენბათმცოდნეები აღნიშნავენ,** მაგდებურგის წმ. ეკატერინე ალექსანდრიელისა და წმ. მავრიკიოსის სახელობის გოთური ტაძარი გრანდიოზული ქმნილებაა, შენდებოდა სამასი წლის განმავლობაში 1209-1520 წწ-ში. ათი ქალწულის სტატუა ამ ტაძარში არ წარმოადგენს ნორმატიულ გადაწყვეტას გერმანული გოთიკისთვის. ათი ქალწულის ეპიზოდი საშინელი სამსჯავროს თემას ეკუთვნოდა და ფრანგულ გოთურ პორტალებშიც მხოლოდ სკულპტურული დეკორის შემადგენელი ნაწილი იყო, მეორეხარისხოვანი, მოკრძალებული, რელიეფური ქანდაკების სახით წარმოდგენილი. მაგდებურგის ტაძრის ხუროთმოძღვარმა კი ეს სიუჟეტი პორტალის დეკორის მთავარ თემად აქცია<sup>27</sup>...

გურამიშვილის ლექსი ერთდროულად ცალკე ქმნილებაც არის და დიდი ქმნილების „დავითიანის“ ნაწილიც, ისე როგორც ათი ქალწულის ქანდაკებანია მაგდებურგის ტაძარში. „დავითიანი“ – ქართული გოთიკის წერილობითი ქმნილება? მელოდოსის კონტაკიონიც „ათი ქალწულის შესახებ“ ცალკე ქმნილებაა. დავითის ლექსს შეიძლება ტირილით წარმოთქმული ლოცვა-ვედრება ვუწოდოთ და ქართულ ლიტურგურაში არსებულ მხატვრულ ლოცვა-ვედრებათა

<sup>27</sup> Девы мудрые и неразумные. Скульптурная группа Магдебургского собора: Е.П. Ювалова, *Немецкая скульптура 1200-1270* (Из истории мирового искусства), М., 1983; <https://history-of-art.livejournal.com/489433.html>.



რიცხვს მივათვალთ. მისი კითხვისას თვალწინ გვიდგება გრიგოლ ხანძთელი, გოდებით ეფრემ ასურის საგალობელთა მგალობელი.

**გალაკტიონის შემოქმედებას** მთლიანობაში თუ გადავაგვლებთ თვალს, დავინახავთ, რომ მისი პოეზიის ცენტრალური თემა ღვთის რწმენის, ქრისტიანული ეთიკის გადარჩენის საკითხია. ნიშანდობლივია ისიც, რომ ორივე ქართველი პოეტის მიერ „ათი ქალწულის“ თემით დაინტერესება ხდება მსგავს სიტუაციებში – ომების დროს. არც გალაკტიონის ქუთაისისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში სწავლის წლებს შეეძლო უკვალოდ ჩავლა. **მღვდლობა** ტაბიძეთა საგვარეულო ტრადიციაც ყოფილა. ტიცვიანი წერდა, ქალდეველ ქურუმთა შთამომავალნი ვართო. ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყარო გალაკტიონისთვის იყო ორგანული, სულისმიერი, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებისეული პრობლემებით გააწამებულ პოეტს, რომელიც „სიზმრებს არაამქვეყნიურთ“ ხედავდა, ხშირად ამბოხება იპყრობდა ღვთისა და ღვდაღვთისას წინააღმდეგ. თუმცა, მისი პროტესტი არასოდეს გასცდენია გაბრაზებული შვილის პოზიციას.

**ათი ქალწულის იგავის** მთავარი ღერძი გარეთ დარჩენის შესაძლებლობის შესწავლაა მორწმუნეთათვის. გურამიშვილთან კი ეს თემა არა მხოლოდ ამ ლექსში, არამედ მთელ მის შემოქმედებაშია გაბნეული და გააზრებულიც, შესწავლილი მკვლევართა მიერ. გურამიშვილი გვეუბნება, რომ ამ ყოველივეს ის სიზმრად ხედავს, მაგრამ პოეტის ცხოვრებაში რეალობა და სიზმარი მთლიანობის ორი სახეა<sup>28</sup>. თვით გურამიშვილის ამ ლექსშიც უამრავი სახეა გარეთ დარჩენილისა: ფარებათა გარეთ დგომა, საუნჯის გარეთ დგომა, ოქროს ბეჭდის დაკარგვა, კარს გარეთ რეკვა; ქორწილში ვერ შესვლა, ლამპარშრეტილობა, წილდაუდებლობა, ზეთის ჩაუსხმელობა, კარდაკლეტილობა. გალაკტიონის მთელ შემოქმედებას თუ არა, მის უცნობილეს ლექსებს მაინც თუ გავიხსენებთ, დაახლოებით იმავეს თქმა შეიძლება.

**ლამპრის ჩაქრობის მოტივმა ვერც ბარათაშვილი დატოვა გულგრილი.** განმანათლებლებისა, თუ საქართველოს ისტორიულ უბედურებათა მიერ, ასევე, პირადი ცხოვრებისგან რწმენაშერყეულმა პოეტმა ვედარ ჰპოვა თავშესაფარი ტაძარში. მისთვის კარი არავის დაუკეტავს, არ გამოუგდიათ. ცრუ და მუხთალ სოფელზე თვით ტაძარმა, ანუ ღმერთმა აიღო ხელი და ბარათაშვილს მხოლოდ ჩამქრალი ლამპარი დარჩა: „დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრა-

<sup>28</sup> ზ. კიენაძე, გურამიშვილის კარავი, IV. კარავი: <http://reso-kiknadze.de/bua/newadd/guramiSviliskaravi.pdf>.

ლი“; ეს ჩაქრობა ლამპრისა სამარადქამოა. პოეტისთვის მას სიყვარული ვეღარ აღუნთებს:

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!  
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!  
ესრეთ დამისშო უკუღმართმა ნუგემის კარი,  
და დავალ ობლად, ისევე მწირი, მიუსაფარი!

**ვაჟასთან** სიყვარული, რწმენაც და სანთელიც „ცეცხლია ციური“, რომელიც ადამიანს გულში უნთია. გულია ტაძარი. ესეც სახარებისეულია. ამიტომაც ისმის ლოცვასავით პოეტის სიტყვები:

ნეტავი ცეცხლი ციური,  
ვისაც-კი გულში ჰნთებია,  
ჯერ არ გაუქრეს, თუ გაქრეს,  
ისივაც ამოჰგზნებია!<sup>29</sup>

ცხადია, ვაჟასთანაც „დაუვსებელი ლამპრის“ აღუზიასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს აღუზია ღრმად ქვეტექსტურია. ამავე დროს ჩაუქრობლობა ღვთიური ცეცხლისა სანეტაროა, მაგრამ არც ჩამქრალის ამონთებაა მოულოდნელი.

ბარათაშვილის ლექსიც პირველ პირშია დაწერილი, გურამიშვილის ლექსით, განცდა წრფელია, ესეც გახსენებაა. ბარათაშვილის ლექსიდან ჩანს, რომ რომანტიკოს პოეტს მათესეული იგავიდან მხოლოდ „ჩამქრალი ლამპრის“ პასაჟი გამოუყენებია ლექსში, ანუ ის მხატვრულად აღუზიას. ამავე დროს ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მგზნებარე სუნთქვაც იგრძნობა მასში.

გალაკტიონის შემდეგ მათესეული „ათი ქალწულის იგავის აღუზია გვაქვს თანამედროვე ქართველი პოეტის **დორთოვას** ლექსში „მოვედინ ჩემდა“:

...გამიდებ კარს ახლა?  
თუ არის უკვე ჟამი,  
როს მექორწინე სიძემ დახშო კარი  
და ქალწულების სდგას ჯარი,  
ლამპრების დაქრობიათ ალი,  
არღარაა ყიდვა-გაყიდვის ჟამი,  
რად მივაგო სულისა წილ, რად?  
მაქვს მხოლოდ განცდა, რომ,  
რომ სადღაც აქ ხარ  
ვიქნები შენი?...<sup>30</sup> 1998.

<sup>29</sup> ვაჟა-ფშაველა, ბახტრიონი, თბილისი, 1972, 77.

<sup>30</sup> დორთოვა (ეკა ჯიქია), „მოვედინ ჩემდა“; // უპირატესი, თბილისი, 2018, 10.

### რუსული ლიტერატურა

რუსულ პოეზიაში ათი ქალწულის იგავისთვის, რამდენადაც ჩვენ დავადგინეთ, პირველს ტრაგიკული ბედის მქონე პოეტს, სამეფო ოჯახის შთამომავალს კონსტანტინე რომანოვს (1858 – 1915), მიუმართავს. ლექსის სახელწოდებაა „იგავი ათი ქალწულის შესახებ – Притча о десяти девах“: ლექსი მთლიანად მისდევს მახარებლის იგავს. პოეტს ლექსი დაუწერია 1884 წელს და წაუძმღვარებია ტროპარი... ამ ავტორს აქვს კიდევ დაახლოებით ამავე თემაზე ლექსი „ვნების კვირეული – На страстной неделе“, ოღონდ ეს მეორე ლექსი ბევრად დაცილებულია მათესეულ იგავს<sup>31</sup>.

ათი ქალწულის იგავისადმი გულგრილად ვერც სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენელი **ალექსანდრე ბლოკი** (1880-1921) დარჩენილა, თუმცა, მისი ლექსი უკვე იგავის ლექსად მხატვრული გარდათქმა აღარ არის. პოეტის მიერ საკუთარიც ბევრია დამატებული, ანუ ლექსი მთლიანად აღუზიანა, შეფარული აღუზიანა. ლექსის ღირიკული გმირი, რა თქმა უნდა, ქალია. დაწერილია პირველ პირში. მოგვყავს მხოლოდ ნაწყვეტები:

*Мой любимый, мой князь, мой жених...*

Ах, бессмертье мое растопчи,—

**Я огонь для тебя сберегу.**

Робко пламя церковной свечи

У заутрени бледной зажгу...

В церкви станешь ты, бледен лицом,

И к царице небесной придешь,—

**Жду тебя, моего жениха,**

**Всё невеста — и вечно жена.**

*26 марта 1904<sup>32</sup>*

კიდევ უფრო დაცილებულია იგავის პირველ წყაროს დიდი რუსი პოეტი **ანა ახმატოვა** (1889-1966):

Ты поверь

...И давно мне закрыта дорога иная,

**Мой царевич в высоком кремле.**

**Обману ли его, обману ли? — Не знаю!**

Только ложью живу на земле.

<sup>31</sup> *Константин Романов*: <http://russian-poetry.ru/Poem.php?PoemId=10771>

<sup>32</sup> *Александр Блок*, Стихотворения и поэмы, Петрозаводск, 1959, 62.

Ворожу, чтоб **царевичу** ночью присниться,  
Но бессильна моя ворожба.

Оттого ль его сон безмятежен и мирен,  
**Что я здесь у закрытых ворот,**  
Иль уже светлоокая, нежная Сирина  
Над царевичем песню поет?

*Декабрь 1909, Киев*<sup>33</sup>

ახმატოვას ლექსი გვხვდება სხვადასხვა თარიღით, 1922 წლი-  
თაც. მაშინ გალაკტიონის ლექსი უფრო ადრინდელი გამოდის.

თანამედროვე რუსულ პოეზიაშიც იქმნება ამ იგავის პოეტური  
ვარიანტები, მაგალითად ვიქტორია რიბაკოვასი<sup>34</sup>. გვხვდება აგრეთვე  
პოეტური ინსცენირებანი პოეტ მიხაელ ბურჩაკისა<sup>35</sup>. თანამედროვე  
რუსული პოეზიის ისეთ ცნობილ წარმომადგენელთან და ამავე დროს  
ქრისტიანული თემატიკით დაინტერესებულ პოეტთან, როგორც  
ოლგა სედაკოვაა, ჩვენ ეს მათესეული იგავი ვერ ვნახეთ.

### **როგორ დგას ეს საკითხი ევროპულ ლიტერატურაში?**

„ათი ქალწულის იგავით“ დაინტერესებულან ინგლისელი პოე-  
ტებიც: ჯონ მილტონი John Milton; (1608-1674) სონეტა 9. 1642-45; მე-  
რი მოლინეუქსი (საუტუორტი) Mary Mollineux (1651-1696), ცნობილი  
პოეტი ქალბატონი კვაკერთა წრიდან, კრებული „fruits of retirement, -  
„მოცაღებობის ნაყოფი“, ლექსი „ათი ქალწულის იგავის შესახებ On  
the Parable of the Ten Virgins“; ქრისტოფერ სმარტი, Christopher Smart  
(1722-1771), ცნობილი პოეტი, იგავი XV, „ათი ქალწული – Parable  
15. The Ten Virgins“; კრისტინა როსეტი Christina Georgina Rossetti;  
(1830-1894), ცნობილი პოეტი ქალბატონი: ლექსი „აჰა, ესერა სიძე  
მოვალს“ Advent Sunday BEHOLD, the Bridegroom cometh; ცნობილი  
ამერიკელი სასულიერო მოღვაწე და პოეტი – თომას მერტონი-  
Thomas Merton, (1915-1968), Collected Poems, „ხუთი ქალწული – Five  
Virgins, ცხადია. უფრო მეტიც იქნება, ჩვენ მხოლოდ ამათი მოძიება  
და გაცნობა მოვახერხეთ...

ათი ქალწულის თემა არც უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის

<sup>33</sup> *Анна Ахматова, сочинения в двух томах, т. II, М., 1990, 22; ამ გამოცემაში  
ლექსს თარიღად უხის 1912 წელი.*

<sup>34</sup> <http://www.kopilochka.net.ru/scripts/54-bible/2338-10dev.html>

<sup>35</sup> <https://sites.google.com/site/iisusonline/home/postanovki/pritca-odesati-devah-ili-duhovnyj-son>

**იოჰან სებასტიან ბახის** (1685-1750) ყურადღების მიღმა დარჩენილა, მას შეუქმნია კანტატა 140- „Wachet auf, ruft uns die Stimme“ „განიღვიძეთ, იყო დაღადება“<sup>36</sup>. ესეც ცალკე ქმნილებაა. და ყველაზე პოეტურ ნაწარმოებად არის მიჩნეული.

XX ს-ში შვედი კომპოზიტორი კურტ ატერბერგის Kurt Atterberg (1887-1974) ფიქრის საგანიც გამხდარა მათესეული იზავი და 1920 წელს მას დაუწერია რაფსოდია „ბრძენი და სულელი ქალწულები -The wise and the foolish virgins“<sup>37</sup>;

რაც შეეხება ხელოვნებისა და კულტურის ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: არქიტექტურა, ბარელიეფური ქანდაკება, ფრესკა და მინიატურა, ძალიან ბევრია. იტალიის ქალაქ როსანოს ბერძნული სახარების მინიატურიდან (VI ს.) – ( ამის საფუძველი გახდა V-VI მსოფლიო საეკლესიო კრებების აქტები, რომელთა თანახმადაც, უარყოფილი იქნა აბსტრაქტული სიმბოლოები, დაწესდა პირდაპირი გამოსახულებანი, წმინდანთა გამოსახვის ფორმები, მაცხოვრის გამოსახვა ადამიანის სახით.) – დაწყებული და XIX ს-ის ბოლომდე ცალკე ფერწერული ტილოებით დასრულებული. მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

**როგორც ამ ზოგადი მიმოხილვიდან დავინახეთ**, უდიდეს ქართველ პოეტს ამ თემასთან დაკავშირებით ასევე უდიდესი წინამორბედნი და თანამედროვენი ჰყოლია მსოფლიო ლიტერატურიდანაც, თავი რომ დავანებოთ ხელოვნების სხვა დარგებს. თუმცა, გალაკტიონის კავშირი რუს კოლეგებთან, ქართველების შემდგომ, უფრო უშუალო გეგონია საქართველოს მაშინდელი ისტორიული მდგომარეობიდან გამომდინარე.

### ათი ქალწული

1. სასუფეველით მსგავსება მათით  
ოცნებამ იცის,  
ათი ქალწული სანთელით ათით  
ელოდენ სიძეს.
2. მათგანი ხუთი იყო გონიერ,  
ხუთი – სულელი;

<sup>36</sup> [http://intoclassics.net/news/2015-01-09-24920 antata BWV 140](http://intoclassics.net/news/2015-01-09-24920_antata_BWV_140) [27:04]

<sup>37</sup> <https://mp3-muzyka.net/mp3songs/kurt-atterberg-the-wise-and-the-foolish-virgins-swedish-rhapsody-tvp.html>

სულელთ ვერ ჰპოვეს ჭურჭელთა მიერ  
ზეთი სურნელი.

3. და ღამით, ოდეს სძინავდა ყოველს,  
ზარით, ებანით  
ხმა ისმა: აჰა, ესერა მოვალს,  
მიეგებენით.
4. აღსდგა წამშივე ქალწული ათი -  
ჰპოვა სანთელი,  
ხუთს ჩაჰქრობოდა სრულიად მნათი  
იმ წუხანდელი.
5. წარვიდენ სყიდვათ. მას უამსა შინა  
გზად იღვა ქარი,  
მოვიდა სიძე, განაღო ბინა  
და დახშა კარი.
6. ოდეს დაბრუნდა წყებანი სხვანი  
მშვენიერ ქალთა,  
დააგვიანდათ. ისინი დგანან  
დახურულ კართან.
7. მათ ხელში ობლად კანკალებს ზეთი  
მწუხარე ღანდათ.  
გარეთ ქარი ჰქრის, არ არის ბედი.  
დააგვიანდათ.

1915

ზოგიერთი ქართველი ლიტერატორი გალაკტიონის ლექსს „ათი ქალწული“ მათესეული იგავის მხოლოდ გალექსილ ვარიანტად მიიჩნევს, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ.

გალაკტიონის ლექსის დასაწყისიც კი უჩვეულოა, ერთგვარად დამაბნეველი. ბუნდოვანებას იწვევს ლექსის პირველივე სტროფის პირველი წინადადება:

“სასუფეველით მსგავსება მათით ოცნებამ იცის“

მიუხედავად სახარებისეული იგავის ცოდნისა, „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა“, მაინც გიჟყრობს აზრი, ასე რატომ თქვაო პოეტმა. აზრის ნათელსაყოფად მოვიშველიოთ სტრიქონის პროზაული ვარიანტები: სასუფეველისადმი მიმსგავსება მათზე [ქალწულებზე] ოცნებამ იცის. ან ოცნებამ იცის სასუფეველის

ათი ქალწულისადმი [იგავისადმი] მიმსგავსება. ვხედავთ, რომ მახარებლის ქართველი მთარგმნელი იყენებს ზმნას „ემსგავსოს“, გალაკტიონი კი წერს, რომ სასუფევლისადმი მიმსგავსება ქალწულებზე ოცნებას გამოუწვევია. რა განსხვავებაა ამ ორ თქმას შორის? მათესთან ზეციური სასუფევლის გასაგებადაა იგავი მოხმობილი, გალაკტიონთან კი „მათით“ ანუ ქალწულზე ოცნება, ფიქრი იწვევს სასუფევლის გახსენებას. სახარებაში გვაქვს უმაღლესის წვდომის დადმაგალი კონსტრუქცია, გალაკტიონთან კი – აღმაგალი, კონკრეტულით, ქალწულების მეშვეობით, მივემართებით სასუფევლისკენ. ლექსის პირველი სტოფის პირველ სტრიქონში ქალწულთა რაოდენობა განსაზღვრული არ არის. ეს მერე ხდება, იგავში კი განსაზღვრულია თავიდანვე: **ἡ βασιλεία τῶν οὐρανῶν δέκα παρθένοις**; .

უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ “იეზეკიელთან (16 ) ისრაელის ხალხი შედარებულია ქალწულს. იუდეველთა კავშირი ღმერთთან ხორციელდებოდა ქმრისა და ცოლის, საქმროსა და საცოლის ერთობითა<sup>38</sup>. რიცხვი ათიც სიმბოლურია<sup>39</sup> . ცხადია, სასიძო თვითონ მაცხოვარია, ლუკა მახარებლთან (5, 34-35) გვაქვს ამისი დასტური; ამავე მახარებელთან იესო მოუწოდებს მოწაფეებს სასანთლები ანთებული ჰქონდეთ (12, 32-35).

გალაკტიონის ამ ლექსმა გაგვახსენა რუსთველისეული: „სიყვარული საჭიროა, მით სიკვდილსა მიგვაახლებს“, სიკვდილის მეშვეობით კი მივეახლებით ღმერთს, ცათა სასუფეველს; ასევე, გრიგოლ ორბელიანის სიყვარულის სადღეგრძელო პოემა „სადღეგრძელოდან“:

რაა, გინდ მოგჰკვდევ? მაინც შენდამო სულს სიყვარული თანა  
წარჰყვება!..

არს უკვდავება, სულის დატკობა, რომელს დასასრულ არა  
ექმნების.

მაშ სახე, სულის დამატკობელი, იმიერ სოფელს არ  
განგვშორების.

და სიყვარული, სულის მაშენი, სიცოცხლეს-თანა არა დაჰშრტების,  
თვარა სიყვარულს თუ დაჰკარგვიდევ, უკვდავებამან მის წილ  
რამომცეს?

**უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილევ, ჩემთვის შეიქმნეს<sup>40</sup>.**

<sup>38</sup> Нюстрем Э., Блуд, Блудницы, Прелюбодеяние // Библейский словарь, СПб., 1998.

<sup>39</sup> Нюстрем Э. Число // Библейский словарь, 1998.

<sup>40</sup> გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1959, 104.

მოყვანილი მაგალითებით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ გალაკტიონის ლექსის პირველივე სტროფის პირველ სტრიქონს, ჩვენი აზრით, ქართველ კლასიკოსთა – რუსთველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ვაჟას – უდიდესი სულიერი გამოცდილებანიც უდევს საფუძვლად.

გალაკტიონის ლექსი შვიდი სტროფისაგან შედგება, ბიბლიური სამყაროს, მცირეაზიული სამყაროს მიერ ესოდენ სათაყვანო რიცხვისგან, რომელიც ქართული სააზროვნო სივრცისთვისაც ესოდენ ორგანულია. ყველა სტროფი ოთხსტრიქონიანია. ერთმანეთს ენაცვლება ათმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სტრიქონები. პირველ სტროფში გვაქვს ერთი შეხედვით ინტერვალიანი რითმა, თუმცა, სინამდვილეში ზუსტი და არაზუსტი რითმების მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე.

1. სასუფეველით მსგავსება მათით  
ოცნებამ იცის,  
ათი ქალწული სანთელით ათით  
ელოდენ სიძეს.

**მ-ათით-ათით** ზუსტი რითმაა, ქალური, გარეგანი. იცის-სიძეს – არაზუსტი. არაზუსტი რითმა ხელს უწყობს სიტყვათა თავისთავადი მნიშვნელობების გამოკვეთას, თითოეული სარიტმო სიტყვის სემანტიკურ დამოუკიდებლობას. პირველი და მესამე სტრიქონების შიგნითაც გვაქვს სარიტმო ერთეულები, ერთნაირი ბრუნვისფორმებიანი სიტყვითი დაბოლოებანი, გვაქვს **პოეტური ლიცენცია**, შეუთანხმებლობა ქვემდებარისა შემასმენელთან რიცხვში; „ათი ქალწული ელოდენ“; „ელოდენ“ – **დიალექტიზმიცაა**; **ალიტერაცია** „ლ“ და „თ“, „ც“ თანხმოვნებით გამოწვეული.

2. მათგანი ხუთი იყო გონიერ,  
ხუთი – სულელი;  
სულელთ ვერ ჰპოვეს ჭურჭელთა მიერ  
ზეთი სურნელი.

მეორე სტროფშიც გვაქვს ჯვარედინი რითმა, ისევ ენაცვლება ერთმანეთს ათმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სტრიქონები. სარიტმო ერთეულებია 1-3-ში ზედსართავი და თანდებული „გონიერ-მიერ“; აქ, ჩვენი აზრით, გვაქვს, პარონიმული მიზიდულება, ატრაქცია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს არა მხოლოდ ერთსა და იმავე, ამავე



დროს სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიებისადმი მიკუთვნებულ სიტყვებს. ამავე დროს არის პოეტური ლიცენციაც. გონიერ-, ასე, სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე, სწორედ სარიტმოდ ერთეულის გამოა გამოყენებული. იგავის ქართული ლექსიკური ერთეული „ბრძენი“ გალაკტიონს სიტყვა „გონიერით“ აქვს შენაცვლებული, რაც უფრო ახლოს დგას სახარების ბერძნულ ექვივალენტთან *φρόνιμοι*. მათესეული „ათი ქალწულის იგავი“ ძალიან ჰგავს იაკობის პირველსახარების შვიდ ქალწულს, რომელთაც შემდეგ ემატება მარიამი. მათგან ერთმა წილგდებით უნდა დაართოს „ამიატონი და ძოწეული“. ეს პატივი ერგება მერვეს, მარიამს<sup>41</sup>. რვას კი ქრისტეს რიცხვად მიიჩნევენ 888, როგორც ჩანს, პითაგორიზმზე დაყრდნობით.

„მიერ“ – თანდებული-მორფომოიდი ნათესაობით ბრუნვასთან გამოიყენებოდა ძველ ქართულში, ასევე, მოქმედებით ბრუნვასთანაც, ოღონდ ნაწევარის ფუნქციით<sup>42</sup>. დღეს ის დაერთვის მხოლოდ ნათესაობით ბრუნვას, ძველად კი, როგორც აღვნიშნეთ, მოქმედებით-საც ახლდა, სიტყვას მოსდევდა, ანუ შანიძის სიტყვით, უკუდებული იყო<sup>43</sup>. გალაკტიონის ლექსში „მიერ“ თანდებული აშკარად ნართანიანი მრავლობითის მიცემით ბრუნვას ერთვის მისივე ბრუნვისთვის განკუთვნილი „ში“ თანდებულის ფუნქციით: „სულელთ ვერ ჰპოვეს ჭურჭელთა მიერ“, ანუ ჭურჭელში. გვაქვს ანტინომური წყვილები, ესოდენ ორგანული ქრისტიანული მწერლობისთვის: გონიერ/სულელი; პარონომასიები: სულელი/სურნელი, ცარიელი და სავსე.

სულელთა ხორცის ჭურჭლის ნაკლულევანება ჰარმონიაშია მათივე ზეთის ჭურჭლის ნაკლულევანებასთან. ამ შემთხვევაში აღმნიშვნელის, „სულელის“ დანიშნულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აღსანიშნის, იგივე ითქმის „სურნელზე“, როგორც პრედიკატზე, რომელიც თანამედროვე ქართული ენის ნორმითაა ლექსში მოხმობილი. გვაქვს კონსონანტური ალიტერაციაც ნ, ლთ, რ თანხმოვნებით მიღებული.

2-4. ზედსართავი სახელები: „სულელი-სურნელი“ – გარეგნუ-

<sup>41</sup> ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები 10 A. //ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, თბილისი, 1977,97,B -ხანმეტური ტექსტის ეს პასაჟი უფრო ვრცელია და ზედმიწევნით იმეორებს ნართის ფერებს გამოსლვათა წიგნიდან: 35, 26.

<sup>42</sup> ა. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი 1973, 242-243.

<sup>43</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი 1976,, 143.

ლად მსგავსი უღერადობის სიტყვებია, (ომოფონებს) ანუ პარონიმებს შორის შინაგანი უფსკრულია. სულელი-სურნელი“ ზუსტი რითმაცაა. ზუსტ რითმაში კი სიტყვათა ბგერითი თანხვედრა მათი სინონიმის ილუზიას წარმოქმნის.

**3. და ღამით, ოდეს სძინავდა ყოველს,  
ზარით, ებანით  
ხმა ისმა: აჰა, ესერა მოვალს,  
მიეგებენით.**

ლექსის მესამე სტროფშიც გვაქვს ჯვარედინი რითმა ზუსტი (2-4) და არაზუსტის (1-3) მონაცვლეობით; იგავში მათე მახარებელი არ ასახელებს საკრავ ინსტრუმენტებს, ეს გალაკტიონის სიახლეა ლექსში, მიჯრით დასახელებულია ორო ინსტრუმენტი – **ზარი და ებანი**. მათ, სხვადასხვა დანიშნულების ინსტრუმენტებმა, ლექსში უნდა წარმოქმნან სინონიმის ასოციაცია. თუმცა, მთლად ასეც არაა საქმე.

**ზარს**, (ლითონის სარეკი. ძირითადად ცილინდრული ფორმისა), ავტორი ანიჭებს შეტყობინების ფუნქციას. ამ სიტყვის ამოსავალ სპარსულ ექვივალენტს ჰქონდა შიშის, მწუხარების ფუნქცია, რითაც დაიტვირთა ქართულ ენაშიც და დღესაც შემოგვრჩა გლოვის აღსანიშნავად. ამ საეკლესიო ნივთმა ბოროტ ძალთა დაშინება-გაძევების ფუნქცია დასავლეთის ეკლესიებში მისი შემოღებისთანავე, ანუ V საუკუნეებიდანვე შეიძინა<sup>44</sup>, თუმცა აღმოსავლეთის ეკლესიებში ზარი, როგორც საეკლესიო ნივთი და ღვთისმსახურების განუყოფელი ატრიბუტი, გვიან დამკვიდრდა<sup>45</sup>, მით უფრო საქართველოში<sup>46</sup>. ქართულად თარგმნილ დიდ სჯულისკანონში (XI ს-ის ბოლო) ზარი, როგორც საეკლესიო ნივთი, ნახსენები არ არის.

**ებანი** – უძველესი ქართული მრავალსიმიანი სამუსიკო საკრავი. სახელწოდება ებანი პირველად „დაბადების“ ქართულ რედაქციაში გვხვდება. როგორც ჩანს, იგი წარმართული დროიდანაა ცნობილი, რასაც აგრეთვე მოწმობს ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი სანახაობათა წინააღმდეგ მიმართული კანონის ერთ-ერთი მუხლი. თავდაპირველად ებანის დანიშნულება საკრავთა მწყობრში მონაწი-

<sup>44</sup> *Павлин*, ППБЭС, 1992; *Словарь античности*, 1989.

<sup>45</sup> *Соловьёв Н. Ф., Колокола // Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона в 86 т. (82 т. и 4 доп.)*, СПб., 1890-1907; აგრეთვე, ППБЭС, 1992.

<sup>46</sup> ზარი ლითონის: <http://georgianencyclopedia.ge/index.php/> ზარი, ლითონის; *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938, 197.

ლეობა და სიმღერა-გალობის თანხლება იყო. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ებანი, ჩანგი და ქნარი სინონიმებია. ებანი ფართოდ გავრცელდა XI-XIII საუკუნეებში. იგი ხშირად იხსენიება ლიტერატურულ წყაროებში (რუსთაველი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, არსენ ბერი, ბასილი ეზოსმოძღვარი)<sup>47</sup>.

ჩვენი ყურადღება ივ. ჯავახიშვილის მიერ მოხმობილი უძველესი მაგალითებიდან მიიპყრო იმანაც, რომ **ებნის** გვერდით ფიგურირებენ“ 1. ბობლანი და 2 წინწილა<sup>48</sup>, ორივე დასარტყმელი ინსტრუმენტი. გამოდის, რომ გალაკტიონი ნაწილობრივ აგრძელებს ბიბლიურ ტრადიციას **ბობლანისა და წინწილას** ადგილას აყენებს ზარს, ანუ გაურბის მისი თანამედროვეებისათვის ორი უკვე მივიწყებული (ბობლანი და ებანი; წინწილა და ებანი) საკრავის დასახელებას და ერთს, გარე სარითმო ერთეულად გამოყენებულ **ებანს** ტოვებს. დიდ სჯულისკანონში ებანი (სიმებიანი საკრავი არფის მსგავსი) „სატანებრთა ჳმათა და მეძურთა ვლდომათა“ შორის მოიხსენიება<sup>49</sup>.

იგავში მაგალითი ყოფითი ცხოვრებიდანაა მოყვანილი. ქორწილებში სიძის მოსვლის შეტყობინებას მყისიერად აგრძელებდა მხიარული დახვედრა, ცეკვა-თამაში, სიმღერა შესაფერისი საკრავი ინსტრუმენტების თანხლებით. „ვეფხისტყაოსანში“ წერია: „ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს მათთა ხმათა“ – ეს არა ერთდროული, არამედ თანმიმდევრული ქმედებაა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ქორწილებში ბობლანს, წინწილას, ზარს ცვლიდა მანქანის საშინელი სიგნალის ხმა. გამოდის, რომ ჩვენს დიდ პოეტს იგავში ინსტრუმენტების პასაჟი ჩაუმატებია, მაგრამ ამ ჩამატებით გაუგრძელებია ტრადიცია, ბიბლიურ, ქართულ ლიტერატურულ, ისტორიულ წყაროებში დადასტურებული. გვაქვს თავკიდური და შიდა სარითმო ერთეულები: **ღამით, ზარით, ებანით**.

<sup>47</sup> *გ. ჩხიკვაძე, ებანი*// ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი, 1978, 665; *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938.

<sup>48</sup> *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 120-123; *ნ. ფირცხალავა*, ებანის, ბანის, ბამის ურთიერთმიმართების საკითხისათვის. ტრადიციული მრავალხმიანობის მეექვსე საერთაშორისო სიმპოზიუმი: თბილისი, 2014, 113-120.

<sup>49</sup> კანონი მეორედ ნიკიას შეკრებილთა მამათანი კბ(22)//დიდი სჯულის კანონი, 1975, 430<sup>23</sup>.

4. აღსდგა წამშივე ქალწული ათი -  
 ჰპოვა სანთელი,  
 ხუთს ჩაჰქრობოდა სრულიად მნათი  
 იმ წუხანდელი.

მეოთხე სტროფში გვაქვს ჯვარედინი და ზუსტი რითმა; 1-3-ში-ქალწური, 2-4-ში სამმარცვლიანი, დაქტილური: **ს-ანთელი/წუხ-ანდე-ლი**. რაოდენობითი რიცხვითი სახელი **ათი**, ანუ სრულყოფილი **ერთი**, სისრულისა და სამყაროული წესრიგის უდიდესი სიმბოლო (შეფარულად ნათელი) ერთიმემა არსებით სახელ **ნათელს** და გაუცნობიერებლად ხდება გატოლება, **ათი** აღიქმება **მნათის** სინონიმად;

2-4-ში გვაქვს: **ს-ანთ-ელ-ი/წუხ-ან-დე-ლი**. **წუხანდელი** ნაწარმოებია ძირისაგან **წუხ**. მორფოლოგიურად წუხანდელი ზმნიზედისგან წარმოქმნილი ზედსართავი სახელია. ასე რომ, გართიმულია მიმდებარე წარმომავლობის არსებითი და ზმნიზედური წარმომავლობის ზედსართავი სახელები. ამავე დროს „წუხანდელი“ მნათის პრედიკატია, დროის აღმნიშვნელი. სტროფის ეგფონიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს **ნთ**, **ნათ**, **ნდ** ბგერები და პარონიმული ატრაქციის შთაბეჭდილებას ტოვებს.

5. წარვიდენ სყიდვათ. მას ჟამსა შინა  
 გზად იდგა ქარი,  
 მოვიდა სიძე, განადო ბინა  
 და დახშა კარი.

**ქარის ეპიზოდი:** „მას ჟამსა შინა“ – ფრაზა მთლიანად ძველი ქართული ენის კუთვნილებაა, დროის აღმნიშვნელი კლასიკური ფორმა, და მათესავე სახარებაში გვხვდება. მისი გამოყენების უამრავი მაგალითი გვაქვს ძველ ქართულ მწერლობაში. გვაქვს დიალექტიზმი და არქაიზმი ერთად: „**წარვიდენ**.“

გზად იდგა ქარი“, ანუ დაბრკოლების ხარისხი ზეთის საყიდლად წასულთათვის გამძაფრებულია კლიმატური პირობებით, ქარით. ეს პასაჟიც გალაკტიონის მიერ არის ჩამატებული მბივალენტური გაგებისა გეგონია, თანმხვედრი როგორც ანდაზებისა და ხატოვანი თქმებისა, გოეთეს ლექსშიც რომაა გაცხადებული: – „*Gesang der Geister über den Wassern* - წყლებზე მქროლავი სულების სიმღერა“:

Seele des Menschen, ეჭა, სულო კაცისა,  
 Wie gleichst du dem Wasser! შენ მსგავსი ხარ წყლისა,  
 Schicksal des Menschen, ეჭა, კაცის იღბალო,  
 Wie gleichst du dem Wind! როგორ ჰგავხარ ქარიშხალს!<sup>50</sup> .

– ასევე ბიბლიური გაგებისაც<sup>51</sup>.

კვლავ გვაქვს ჯვარედინი რითმა 1-3 თანდებული „შინა“ და არსებითი სახელი „ბინა“. ეს სარიტმო წყვილი უაღრესად საინტერესოა. აზრობრივად სრულიად განსხვავებული დისტინქტური პარონიმების შთაბეჭდილებას ტოვებს. მიცემითი ბრუნვის თანდებული „შინა“ შინაგან სივრცეს გულისხმობს, შემოზღუდულს, მას „ნი“ ბოლოსართის დართვით გაარსებითებაც შეუძლია: „შინა-ნი“ (მთის კილოებშია მიღებული), ამიტომაც შეიძინა მან ბინის, სახლის შინაარსი, რაც განსაკუთრებით კარგად მისი სხვა ენებზე თარგმნის დროს ვლინდება. სტროფში სარიტმო ერთეულები **შინა-ბინა** სწორედ ზემოსხენებულის გამო იწვევს სინონიმის განცდას; იგივე შეიძლება ითქვას სარიტმო ერთეულებზე **ქარი-კარი**. პერიოდული მოძრაობითა და დგომით, ისინიც სინონიმურად აღიქმება.

**6. ოდეს დაბრუნდა წყებანი სხვანი  
 მშვენიერ ქალთა,  
 დააგვიანდათ. ისინი დგანან  
 დახურულ კართან.**

მარადიული მღვიძარება რიგითი ადამიანებისთვის ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი. ამიტომაც იყო, რომ **მღვიძარეთა** მონასტრებშიც კი სასულიერო პირთა ჯგუფები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

სინტაქსური თვალსაზრისით, მთელი სტროფი ერთი წინადადებაა. მხატვრულობის თვალსაზრისით, პირველ ორ სტრიქონში გადანაწილებულ ერთ ნაწილში გვაქვს პოეტური ლიცენცია, ნართანიან მრავლობითში მდგომ ქვემდებარესთან შემასმენელი მხოლოდობით რიცხვშია. ერთნაირი ბრუნვისფორმებიანი სიტყვათა დაბოლოებანიც გვაქვს პირველ სტრიქონში. სტროფში ნამდვილად ინტერვალიანი რითმა გვაქვს: სარიტმო ერთეულებია: **ქალთა – კართან**. სიტყვა ქალი მხოლოდ მეექვსე სტროფში შემოდის და ენაცვლება ქალწულს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შემთხვევითი არ არის. ამით ხაზგასმულია **ქარის, კარის** და ჩვე-

<sup>50</sup> *იოჰან ვოლფგანგ გოეტე*, ლექსები, თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა, თბილისი, 1946, 52.

<sup>51</sup> *Нюстрем Э.*, Ветер и вихрь...

უღებრივი ქალის მსგავსება გუნებ-განწყობის ცვალებადობის მხრივ. განსაზღვრება **“მშენიერი”** გალაკტიონისეულია. პოეტს ენანება **კარდახშულნი** მხოლოდ უარყოფითი პრედიკატისთვის „სულელი“ და მათ გარეგნულ მშენიერებას უსვამს ხაზს. ხუთი უკვე საბოლოოდ არის გამოყოფილი ქალწულთა რიცხვს და ჩამოქვეითებულია რიგით, მაგრამ მშენიერ ქალებადვე. განსხვავებულია ერთი და იმავე შინაარსის გადმომცემი სიტყვები, როდესაც ეს ეხება მაცხოვარს და სულელ ქალებს: მაცხოვარი **„ხშავს კარს“**, გარეთ მყოფნი **„დგანან დახურულ კართან“**. ხშვას აბსოლუტური შეუვალობის შინაარსი აქვს, მაშინ როდესაც დახურვა უფრო ნეიტრალურია და გაღების მეტ პერსპექტივას შეიცავს. ცოდვილთა მიერ კარის გაღების გზათა ძიება და მისი გამოხატვის ფორმები კიდევ ცალკე დიდი თემაა. ალიტერაცია კი ოთხივე სტრიქონშია განფენილი.

7. მათ ხელში ობლად კანკალებს **ზეთი**  
 მწუხარე **ლანდათ**.  
 გარეთ ქარი ჰქრის, არ არის **ბედი**.  
 დააგვიანდათ.

გალაკტიონის ლექსში არ გვხვდება მაცხოვრის მკვახე პასუხი კართან მდგომი ხუთი მშენიერი ქალისადმი: **„12. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუნ: არა გიცნი თქუნ!“**. ისევე, როგორც იგავი აღარაფერს გვეუწება შიგნით შესულთა და გარეთ დარჩენილთა სულიერი განცდების შესახებ. იგავს ეს არ აინტერესებს. შიგნით შესულნი არც პოეტს აინტერესებს. არ გვხდის მათი სიხარულის მონაწილედ. გალაკტიონის ინტერესისა და თანაგრძნობის საგანი გარეთ დარჩენილნი არიან. იგავის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შუადამისას საყიდლად წასულთ, მოუხერხებიათ ზეთის შეძენა, ანუ გარჯილან, თანაც სიძესთან შესულებზე უფრო მეტად. წარმატებულნი დღე გაისარჯნენ. დღისით ხომ ყველა დუქანი ღია იქნებოდა? ამ ხუთმა რამდენი იწვალა, მაგრამ ამაოდ. მუდმივი მღვიძარება, თადარიგის დაჭერა, მზაობა წინ დგას დაგვიანებულ მეტ გარჯაზე, მეტი ენერგიისა და დროის დახარჯვაზე. თავ სინანული წინ დგას ბოლო ჟამს დანანებაზე. მათ უფლისგან ბოძებული დრო ვერ განკარგეს სწორად<sup>52</sup>.

გალაკტიონის ლექსში ბინარული ოპოზიცია **მღვიძარება-ძილი**

<sup>52</sup>ნარი *ჩხაბერიძე*, ჟამისწირვის რიტუალურ-ტერმინოლოგიური არსის განსაზღვრისთვის//ქურნალი „ქართველოლოგია“, №1, 2019, 119-133.

ონტოლოგიურია. ერთიც და მეორეც ეხება ყოფიერებას, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობაც აქვს, როგორც ეს სახარების პირველმსმენელთ და ბიზანტიელთ ესმოდათ: ძილი – ზნეობრივი სიკვდილი, მღვიძარება – სიცოცხლე, სინანული – ზნეობრივი აღდგომა.

თუ ცოდვილი ამ სოფლად ვერ ეღირსა მიტევებას, ის ზეციური წყალობის იმედად რჩება. ხუთ მშვენიერ, მაგრამ სულელ ქალს ეს იმედიც ვერ ექნება, ვინაიდან სწორედ მაცხოვარია მათთვის კარის დამსშველი. ეს მდგომარეობა წინააღმდეგობაში მოდის ღვთის ფუნქციასთან: „ნუთუ მამასა არღა ჰქონდეს გულისტკივილი, ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?“. სახარებაში არ არის, ვერც იქნებოდა, გალაკტიონსაც არ შემოჰყავს ლექსში ძის წინაშე მეოხი დედაღვთისას სახე, რომლითაც ბოლოვდება, როგორც წესი, სავედრებელი ლოცვები და მსგავსი პასაჟები ქართული კლასიკიდანაც.

რა უნდა შესთავაზოს ცოდვილმა უფალს? 1. თვალთა ცრემლი, 2. „კვნესა გულისა“, 3. შიში ბედისწერის წინაშე და 4.ლოცვა ხსნისათვის. და აი ის, რაც იგავის მიღმა რჩება ფრიად საპატიო მიზეზთა გამო (უანრიდან, ეპოქისმიერი აქცენტებიდან, მიმართვის ადრესატებიდან (იგავი მიმართულია მაცხოვრის მოწაფეებისადმი, რჩეულებისადმი) გამომდინარე, გაცხადებულია ჩვენი პოეტის მიერ ლექსის მეშვიდე სტროფში. პოეტი უცნაურ მდგომარეობაშია, თან იგრძნობა მისი თანაობა ამ კარდახშულებთან, თან სარკმლის პერსპექტივით უმზერს მათ: „მათ ხელში ობლად კანკალებს **ზეთი**

**მწუხარე ლანდათ“.**

დავაკვირდეთ, ჭეშმარიტად დიდი ფერმწერის მიერ დანახული პასაჟია. სწორედ შორიდან შეიძლება შუალადმისას სანთლის შუქის ნიაზე რხევისას მწუხარეთა დეფორმირებული და ტანჯული სახეების დანახვა. პოეტი თითქოს საკუთარ ბედისწერას შეიგრძნობს მათში, ანალოგიას ხედავს, მაგრამ არ საჩინო ჰყოფს. უარყოფილ ქალთა მდგომარეობა და წუხილი ცამეტსიტყვიან სტროფში გადმოცემულია თერთმეტი უარყოფითი შინაარსის შემცველი სიტყვით: „ობლათ“, „კანკალებს“, „მწუხარე“, ლანდად“, „გარეთ“, „ქრის“ „ქარი“, „არ არის“, „ბედი“ და თითოეულ ამ უარყოფითი სემანტიკის შემცველ სიტყვაზე უამრავი რამის თქმა შეიძლება...

ათი ქალწულიდან ხუთის დაღმა სვლის საფეხურები ასეთია: 1. ქალწულება 2. სისულელე 3. მშვენიერი ქალები 4. მწუხარე ლანდები. „ობლათ“ ერთდროულად არის პოეტური ლიცენცია, დიალექტიზმი და სარიტმო ერთეულიც: ობლათ/ლანდათ/ დაავგიანდათ. დაგვიანებამ

გამოიწვია მათი დაობლება და ლანდად ქცევა. ასე რომ, ობოლი და ლანდი სინონიმებად აღიქმება, ოღონდ თანმიმდევრული ქმედებით. გვაქვს თავრითმაც: მწუხარე/გარეთ; გვაქვს ეთიკური ანტინომასიაც: ცოდვა და სინანული. იგავში მხოლოდ ცოდვა ჩანს, ლექსში - ცოდვაც და სინანულიც. აქვე დაეძინო, რომ ძველი ბერძნული მწერლობა ადამიანის ნაკლულევანი ბუნების ამგვარ გამოვლინებათ მისატყვებელ მანკიერებად მიიხედა და დალატის ხარისხში არ აჰყავდა.

ამავე სტროფში პოეტი უკვე ხსნის მეხუთე სტროფის ქარაგმას. **ის ქარსა და ბედს შორის ტოლობის ნიშანს ღიად სვამს.** „ბედი ცდა-აო“ და აი ამ ხუთმაც სცადა, მაგრამ უფლის ნება შეუვალი აღმოჩნდა. **ქარი, ქალი, კარი** – ლექსემები მართლაც ერთ სიბრტყეზე დალაგდა. ტრაგიკული დრამის მთავრი გმირი – სიძე – მხოლოდ ორჯერ არის ნახსენები ლექსში, პირველ და მეხუთე სტროფებში, იგავში კი – ხუთჯერ. გვაქვს **მეტაფორაც** „ლანდად“, ზეთი, ქარი.

ლექსში ღვთის რაობისა და ბედის გაგება ტრადიციულია. ქრისტიანულ, კეთილის შემოქმედ ღმერთს არაფერი ბრალდება, ბრალდებულია ბედი და ხუთი უგუნური, რომელთაც ბედი ვერ შეცვალეს.

მეექვსე და მეშვიდე სტროფში გოდების, სამგლოვიარო და სასინანულო ზარების დარისხების შინაარსს, რექვიემის შინაარსს იძენს გამეორება ზმნისა: „**დააგვიანდათ**“. გალაკტიონის ლექსში ვერ ვხედავთ გურამიშვილისეულ ვედრებას, ეს სულიერი მდგომარეობა მის სხვა ლექსებში შეისხამს ხორცს...

### დასკვნა:

1. ამრიგად, სტატიაში განხილულია გალაკტიონის – (რომლის საკუთარი სახელი, ბერძნული ანთროპონიმი **Γαλάξιον** – ირმის ნახტომი, დევთ ნამუხლარი, რძისფერი გზა, აპოლონის ტაძარი - ზედმიწევნით შეესაბამება მის პიროვნებას) – ნაკლებად აღიარებული ლექსი „ათი ქალწული“, შექმნილი 1915 წელს, მათე მახარებლის იგავის მიხედვით (25, 1-13). ნახვენებია, რომ მათესეული „ათი ქალწულის იგავის“ თემა მსოფლიო ლიტერატურის, ხელოვნებისა და მთელი კულტუროლოგიის დიდი თემაა. ის მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში იწყება ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწის წმ. მეთოდოს პატარელის – **Μεθόδιος Πατάρων** (260-312)- თხზულებით – „**ნადიმი ანუ უმანკოების შესახებ** – **Συμπίστον ἡ περὶ ἀγνείας**“ - ვრცელი ნაწარმოებია. თუმცა, ის არ



მისდევს ზედმიწევნით მათეს სახარების იგავს (25, 1-13), მაგრამ აქვს დიალოგის ფორმა; უცილობლად რაც მათეს სახარებაზე მიგვანიშნებს, ეს **ქალწულთა რაოდენობა და მათი მიზანია – უმანკოების დაცვა საქმროსთვის და მისი მოსვლისთვის მზაობა:** „შენთვის, ჰოი საქმროვ, ვინახავ ჩემს ქალწულობას და მანათობელი ჩირადღნებით ხელში გეგებები შენ – ἀγνῆσθα σοι καὶ λαμπάδας φαισφοῖδουσ ἡδαιτσῆσά σῦμφει ὑπαντάσθα σοι“; მეთოდის პატარელი, როგორც მწერალი, კარგად იყო ცნობილი ძველ საქართველოში. ჩვენამდე მოაღწია მისი ორი თხზულების თარგმანმა;

2. სტატიში ნახვენებია მეთოდის პატარელის მიერ მათეს სახარებისეული „ათი ქალწულის იგავის“ თემა, მის შემდგომ საშინელი სამსჯავროს თემის დეტალი, როგორ იქცა მსოფლიო ლიტერატურისა და პოეზიის ასახვის საგნად; რომ ამ ასახვაში ქართულ მწერლობასაც უდევს წილი, რომ უდიდესმა ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ მათეს ამ იგავის ლექსად გარდათქმით ქართული მსატვრული ლიტერატურა, ქართული პოეზია, ქართველი მკითხველიც, თავისი უდიდესი წინაპრების კვალად, კიდევ ერთხელ შეანაკადა მსოფლიო პოეზიის წილს;
3. სტატიში მოკლედ მიმოხილულია ათი ქალწულის იგავით დაინტერესებული როგორც ბიზანტიელი ავტორები, ასევე, ინგლისურენოვანი და რუსი პოეტები; ყურადღება ეთმობა გალაკტიონის ქართველ წინამორბედთაც: უცნობი მგალობელი, გიორგი მერჩულე (X ს), იოანე მინჩხი, დავით გურამიშვილი (1705-1792), ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1844). გურამიშვილი ერთი წელი (1758-1759) პრუსიის ქალაქ მაგდებურში იმყოფებოდა ტყვედ. აქედან გამომდინარე, დასმულია კითხვა, რამდენად იქონია მაგდებურგის ტაძრის ათი ქალწულის მონუმენტური ქანდაკებების ხილვამ ქართველ პოეტზე გავლენა საკუთარი ლექსის შექმნისას, თუ „ათი ქალწულის“ თემა მხოლოდ სახარების გავლენით, პირადი ცხოვრების უკუღმართობით, ან ეპოქალური სულით იყო განპირობებული?
4. ათი ქალწულის თემასთან დაკავშირებით, გალაკტიონს ქართულ პოეზიაში წინამორბედების გარდა, ჰყავს გამგრძელებელიც პოეტი ქალბატონის, დოროთეას (ეკატერინე ჯიქია) სახით.

5. გალაკტიონის მიერ მათესეული იგავის პოეტურ ვარიანტში შინა-არსობრივი ნიუანსები ისეთივეა, როგორიც – იგავში, თუმცა, დარღვეულია კომპოზიციური სტრუქტურა, არ აქვს დიალოგის ფორმა. თხრობის სტილი ეპიკურია, დარბაისლური, ტკივილიანი, მაგრამ მშვიდი.

გალაკტიონის ლექსში ზოგი პასაჟი გამოტოვებულია, ზოგიც ჩამატებული. გამოტოვებულია: ზეთის თხოვნა ბრძენი ქალწულებისგან, 2. მათი პასუხი, 3. დაგვიანებულ ქალწულთა კარის გაღების თხოვნა სიძისადმი, 4. სიძის პასუხი. ჩამატებულია: 1.საკრავი ინსტრუმენტები 2. ქარის ეპიზოდი 2. ხუთი სულელის დახასიათება სიტყვით „მშვენიერი“, კარდახშულთა სულიერი განცდები. იგავში თავიდანვეა ქალწულთა რაოდენობა დასახელებული, ლექსში კი შემდეგ შემოდის. გალაკტიონი ქართული სახარების სიტყვას „ბრძენი“ ცვლის „გონიერთ“, რაც უფრო ახლოს არის ბერძნული სახარების შესაბამისი კონტექსტის სიტყვასთან (φρόνιμοι);

6. ლექსში გამოყენებულია მხატვრული ხერხები და რიტორიკული ფიგურები. რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი უკავია ქრისტიანული მწერლობის წმინდათაწმინდას- ანტინომასიებს: სიძე-ქალწულები, გონიერ/სულელი, შინ-გარეთ, სულელი-სურნელი, მღვიძარება-ძილი, კარლიანი-კარდახშულნი, მწუხარენი-მხიარულნი, რომელთა ბედნიერების შესახებ მხოლოდ წარმოსახვის მოშველიება შეუძლია მკითხველს. გვაქვს მეტაფორაც: ქარი უბედობის მეტაფორა, ლანდი – ქალწულების მეტაფორა, მოკანკაღე ზეთი – უბედურების; გალაკტიონის ლექსი ვერსიფიკაციული თვალსაზრისითაც ძალიან საინტერესოა. ლექსის უდიდესი ღირსება მისი ერთდროული უბრალოება და სიდიადეა; ის არ ჩამოუვარდება მხატვრულობის თვალსაზრისით გალაკტიონის სხვა შედეგებს.

7. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ გალაკტიონის ასეთი დიდებული ლექსი დღეს სრულიად უფუნქციოა სოციალურად. არადა, მისი და მთელი ქართული კლასიკის ჩართვაც კი შეიძლებოდა შესაფერის დღევანდელ მსახურების არაოფიციალურ ნაწილში, ქადაგებისას, ვინაიდან ქართული კლასიკა, გმირთა და მოწამეთა მიერ შექმნილი, ეს ჩვენი საერო ლიტურგიკაა, ჩვენივე საეკლესიო ლიტურგიკის ღირსეული შემწე და მეშველი. გალაკტიონ ტაბიქე სწორედ ამ საერო ლიტურგიკის უდიდესი წარმომადგენელია.

## Ketevan Jervalidze, Nino Petriashvili

### St. Matthew the Evangelist's Parable of Ten Virgins and its Artistic Imagery in Literature

The paper concerns Galaktion Tbidize's not well known poem „Ten Virgins“ written in 1915 according to St. Matthew (25.1-13). It is shown that the theme of „The Fable of Ten Virgins“ is influential in the world literature, art and culture traditions. The authors study the poem from the point of view of historical chronology and artistic analysis.

The theme of Ten Virgins was introduced to the world literature by the Byzantine spiritual father St. Methodius Pataron – **Μεθόδιος Πατάρων** (260-312) with his work „Feast or about Innocence“ – **Συμπόσιον ἢ περὶ ἀγνείας**, but it does not follow the text of the Gospel exactly.

Along with the Byzantine authors interested with „Ten Virgins“ the researchers present the overview of the Georgian predecessors of Tabidze: the unknown author (X c.), Ioane Minchkhi (X c.), Giorgi Merchule (X c.), Davit Guramishvili (1705-1792).

The English writers are presented by the authors: John Milton (1608–1674) – a sonnet; Mary Mollineux (1651-1696) – the collection „Fruits of Retirement, On the Parable of Virgins“; Christopher Smart (1722-1771) – „Parable 15. The Virgins“; Christina Georgina Rossetti (1830-1894) – the poem „Advent Sunday, BEHOLD, the Bridegroom Cometh“; the well-known spiritual father and poet – Thomas Merton (1915-1968) – Collected Poems: The Ten Virgins. The Russian poets contemporaries of Galaktion are also mentioned: Konstantin Romanov (1858-1915) – the poem „The Parable about Ten Virgins“ 1884; Alexandr Block (1880-1921 ) – the poem „My Love, My Prince, Mt Bridegroom...“ (1904); and Anna Akhmatova (1889-1966) – her poem „You Believe“ (1909;1912;1922).

Apart from the historical survey, the paper presents the detailed analysis of Galaktion Tabidze's poem, and suggests the far-reaching study of the structure of the verse, the word technique, of the added or removed episodes, the analysis of metaphorical system, also the innovations introduced into the poem and versification.

The authors conclude that the theme of Ten Virgins has become popular and is well discussed in the world literature, and the Georgian men of letters also contributed to this important literary discussion.